ქალაქ თბილისის საკრებულო

გადაწყვეტილება № 6-16

" 05 " თებერვალი 2009 წ.

23 06 2009
010.270.000.36.101.013.214

„დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის №10-54 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის ოაობაზე

1. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად „დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის №10-54 გადაწყვეტილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 12. სხვა დებულებები

1. აუქციონის შედეგებთან დაკავშირებით სადავო, ან/და აუქციონის შედეგად დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობის საკითხებს განიხილავს სასამართლო მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ქ. თბილისის მთავრობას შეუძლია განახორციელოს ამ წესით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების როგორც სრული, ისე ნაწილობრივი დელეგირება იმ საწარმოებზე, რომლის წილი ან/და აქციები გადაცემულია მართვის უფლებით.".

2. გადაწყვეტილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ალ სამადაშვილი

განმარტებითი ბარათი

„დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის №10-54 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტის შესახებ:

ა.ა) საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტის მიღების მიზეზი:
საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტის (შემდგომში – პროექტი) მიღების მიზეზია საკრებულოს გადაწყვეტილების სრულყოფა და მისადაგება არსებულ საკანონმდებლო მოთხოვნებთან.

ა.ბ) პროექტის მიზანი:
პროექტის მიღების მიზანია ქ. თბილისის მთავრობამ უზრუნველყოს თავისი უფლებამოსილების სწრაფი და ეფექტიანი განხორციელება.

ა.გ) პროექტის ძირითადი არსი:
პროექტის თანახმად შესაძლებელი ხდება ქ. თბილისის მთავრობამ განახორციელოს საკრებულოს განაწყვეტილებით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების როგორც სრული ასევე ნაწილობრივი დელეგირება იმ საწარმოებზე, რომლის წილი ან/და აქციები გადაცემულია მართვის უფლებით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:
პროექტი კონკრეტული თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არ მოახდენს გავლენას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
პროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

პროექტის მიღება არ მოახდენს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე რომლების მოექცევიან ამ პროექტის რეგულირების სფეროში.

ბ.ვ) პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

პროექტით დადგენილი არ არის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

პროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

პროექტის შემუშავებაში არ მიულიათ მონაწილეობა სახელმწიფო, არასახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ექსპერტებს.

დ.ბ) პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

პროექტს არ ახლავს ექსპერტის შეფასება.

დ.გ) პროექტის ავტორი:

პროექტის ავტორია ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაცია.

დ.დ) პროექტის ინიციატორი:

პროექტის ინიციატორია ქალაქ თბილისის მერი.

01/23/11-6258
24. 06. 2009

საქართველოს მთავრობის კანცელარიის უფროსს
ბატონ დავით კერესელიძეს

ბატონო დავით,

„ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტისა და „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2007 წლის 27 ივლისის №154 დადგენილების შესაბამისად, გეგზავნებათ:

ა) „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2007 წლის 3 აგვისტოს №9-48 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-15 გადაწყვეტილება (10 ფურცელზე);

ბ) „დედაქალაქის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის №10-54 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-16 გადაწყვეტილება (3 ფურცელზე);

გ) „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილება (39 ფურცელზე, თანდართულ რუკასთან ერთად).

ამასთან, გაცნობებთ, რომ ზემოხსენებული გადაწყვეტილებების მიმართ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გაგვაჩნია.

სულ დანართი: 52 ფურცელზე.

პატივისცემით,

დიმიტრი ძაგნიძე

მინისტრის მოადგილე

23.06.09

ქალაქ თბილისის საკრებულო
TBILISI CITY ASSEMBLY

თბილისი, 0105, თავისუფლების მოედანი 2, ტელ.: 98 29 32; 93 38 58
2, TAVISUPLEBIS SQUARE, 0105 TBILISI, GEORGIA, TEL.: (+995 32) 98 29 32; 93 38 58

№ 06-1/268 „12" ივნისი 2009 წ.

13-ის 06.2009
15.06.09.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციოდ გეგზავნებათ „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-17 გადაწყვეტილება.

დანართი: 5 ეგზემპლიარად (მათ შორის ერთი დედანი) და დისკეტა.

საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი

53

12.06.09
10:20-425 8

ქალაქ თბილისის საკრებულო
TBILISI CITY ASSEMBLY

თბილისი, 0105, თავისუფლების მოედანი 2, ტელ.: 98 29 32; 93 38 58
2, TAVISUPLEBIS SQUARE, 0105 TBILISI, GEORGIA, TEL.: (+995 32) 98 29 32; 93 38 58

№ 26-1/267 „12" ივნისი 2009 წ.

15.06.09.

15.06.09

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში სარეგისტრაციოდ გეგზავნებათ „დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2007 წლის 6 სექტემბრის №10–54 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის №6-16 გადაწყვეტილება.

დანართი: 5 ეგზემპლიარად (მათ შორის ერთი დედანი) და დისკეტა.

საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ალფაძე ზაალ სამადაშვილი

12 06 09
№ 01/30-1257